გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 63

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების, ს/კ 66.45.21.206 არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 16 კვ.მ პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 28 აპრილს N 7057 განცხადებით მომართა ფ/პ ივანე გოქაძემ (პ/ნ 59001013757) და მოითხოვა გორში, სტალინის გამზირის N24 - ის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.21.206 16 კვ.მ-ის იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსის" მიერ 2019 წლის 18 ივნისს წარმოდგენილი №გრ–76 „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.21.206 16 კვ.მ-ის საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილებით, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.206 შეტანილია ქალაქ გორში, გარე ვაჭრობის ნებადართული ადგილების ჩამონათვალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.21.206 16 კვ.მ-ის აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ"

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის და „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილების საფუძველზე. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 66.45.21.206) 16 კვ.მ-ის აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემაზე.
2. საწყისი საპრივატიზებო ფასი გორში, სტალინის გამზირის N24 - ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.21.206 16 კვ.მ-ის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 800 (ერთი ათას რვაასი) ლარით
4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემული იქნეს ღია კაფეს მოწყობის მიზნით (მხოლოდ ქოლგების, მაგიდების და სკამების დასალაგებლად), ასევე ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულ იქნას, ყველა ის ნორმა დაცული, რომელიც დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ.
5. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით (ივლისი; აგვისტო; სექტემბერი),
6. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე